USAID
ამერიკელი ხალხისგან
USAID სამართლის უზენაესობის პროგრამა
USAID RULE OF LAW PROGRAM
EAST • WEST MANAGEMENT INSTITUTE

ბიულეტენი

მართლმსაჯულების სისტემის მხარდაჭერა

გამოცემა #4
ოქტომბერი 2023 – მაისი 2024

ქართველმა მოსამართლეებმა ამერიკის ქალ მოსამართლეთა ეროვნული ასოციაციის კონფერენციაში მიიღეს მონაწილეობა

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამა მხარს უჭერს მოსამართლეების ცოდნის გაღრმავებას, აძლევს რა მათ საშუალებას დაამყარონ კავშირები საერთაშორისო პარტნიორებთან და გაეცნონ მიმდინარე სამართლებრივ და მეცნიერულ მიღწევებს.

პროგრამის მხარდაჭერითა და ამერიკის მთავრობის ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის საერთაშორისო ბიუროსთან (INL) თანამშრომლობით, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სამი ქართველი მოსამართლე, **ციცინო კიკვაძე** (ქუთაისის საქალაქო სასამართლო), **თამარ ჩიხლაძე** (თბილისის საქალაქო სასამართლო) და **ნათია ბუსკაძე** (თბილისის საქალაქო სასამართლო) 2-7 ოქტომბერს ინდიანაპოლისში (აშშ) იმყოფებოდნენ. გარდა ამისა, INL-მა თავის მხრივ, უზრუნველყო თბილისის საქალაქო და თბილისის სააპელაციო სასამართლოებიდან კიდევ ოთხი მოსამართლის მონაწილეობა ვიზიტში.

მოსამართლეები დაესწრნენ ამერიკის ქალ მოსამართლეთა ეროვნული ასოციაციის (NAWJ) 45-ე ყოველწლიურ კონფერენციას, რომელმაც 205-ზე მეტი მოსამართლე შეკრიბა არა მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატებიდან (აშშ), არამედ აღმოსავლეთ ევროპიდან, აზიიდან, აფრიკიდან და ცენტრალური და სამხრეთ ამერიკიდან.

კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდნენ ცნობილი მეცნიერები, რომლებმაც მიმოიხილეს აშშ-ს უზენაესი სასამართლოს ბოლოდროინდელი პრაქტიკა, ხელოვნური ინტელექტის გამოყენება სამართლებრივ კვლევასა და სამართლებრივი დოკუმენტების მომზადებაში. მომხსენებლებმა ისაუბრეს ნეირომეცნიერების ბოლო მიღწევების, დამოუკიდებელი სასამართლოს წინაშე არსებული გამოწვევების და ეთიკური დილემების შესახებ, რის წინაშეც ხშირად დგანან მოსამართლეები.

სააპელაციო სასამართლოს მოსამართლემ ღირებული ცოდნა მიიღო აშშ-ს სასამართლოში გაცვლითი ვიზიტის დროს

„სიტყვებით შეუძლებელია სრულად გამოიხატოს ის უსაზღვრო კმაყოფილება და მადლიერება, რასაც მივლინების შესახებ განვიცდი. მრავალ ქვეყანაში ვყოფილვარ საგანმანათლებლო თუ პრაქტიკული მიზნებით, თუმცა მინესოტაში ვიზიტმა ყველა ჩემს მოლოდინს გადააჭარბა. ბავშვთა უფლებები, მეურვეობის და მზრუნველობის საკითხები, ნარკოდამოკიდებულებიდან გამოჯანმრთელების მართვა, ფსიქიკური ჯანმრთელობის საკითხები, სამოქალაქო სამართალწარმოება, მიგრაციის საკითხები, ადვოკატების პროფესიონალური და კეთილსინდისიერებაზე დაფუძნებული ვალდებულებები, მედიაცია და დავის ალტერნატიული გზებით გადაწყვეტა - ეს იმ საკითხების არასრული ჩამონათვალია, რომელზე დაკვირვების და მუშაობის საშუალებაც მომეცა.“

ამბობს **ქეთევან მესხიშვილი,** თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე, რომელიც ახლახან დაბრუნდა მინესოტას შტატის, სკოტის საგრაფოს, პირველ საოლქო სასამართლოში ორგანიზებული მივლინებიდან.

მივლინება, რომელიც 30 სექტემბრიდან 14 ოქტომბრის პერიოდში მიმდინარეობდა - ამერიკის იურისტთა ასოციაციის კანონის უზენაესობის ინიციატივა-ს (ABA ROLI) მიერ, USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით იყო ორგანიზებული.

მოსამართლე მესხიშვილი აღნიშნავს, რომ ვიზიტი პროდუქტიული იყო, როგორც ღირებული ცოდნის მიღების, ასევე ამერიკელ კოლეგებთან ურთიერთობის დამყარების თვალსაზრისით.

ის დაესწრო ორმოცამდე სასამართლო პროცესს. პროცესებზე დასწრებამდე ამერიკელი კოლეგები მას საქმის მასალებს აწვდიდნენ, რათა პროცესებზე მოსმენილი ინფორმაცია და გარემოებები მისთვის სიახლე არ ყოფილიყო.

სასამართლო სხდომებზე დასწრებამ მას შესაძლებლობა მისცა ენახა თუ როგორ მუშაობენ ამერიკელი მოსამართლეები მოწმეებთან და ადვოკატებთან სხვადასხვა საქმეებზე და გარემოებებში.

ამერიკელი მოსამართლე მუშაობს ახალციხის რაიონული სასამართლოს მოსამართლეებთან და თანამშრომლებთან საქმის მართვის სისტემის გასაუმჯობესებლად

ამერიკელმა მოსამართლემ მინესოტას შტატიდან, **ტიმოთი ბალანდმა,** ახალციხის რაიონული სასამართლოს მოსამართლეებისა და სასამართლოს

პერსონალისთვის სამუშაო შეხვედრა ჩაატარა, რომლის მთავარი ფოკუსი საქმეთა მართვის - სასამართლო პროცესამდე, პროცესის მსვლელობისას და პროცესის დასრულების შემდეგ - გაუმჯობესება იყო. შეხვედრას მოსამართლეები, სასამართლოს მენეჯერი და მოსამართლის თანაშემწეები ესწრებოდნენ.

სემინარის დროს მოსამართლე ბალანდმა აღწერა საქმეთა მართვის კონფერენციის (CMC) მუშაობის თავისებურებანი და განმარტა მისი უპირატესობები. CMC არის ის პირველი საფეხური, რომელიც მხარეებმა და სასამართლომ სხდომების დანიშვნამდე უნდა გაიარონ. CMC-ის უპირველესი მიზანია შეეცადოს გადაჭრას ზოგიერთი ან ყველა არსებული ის

სამართლებრივი საკითხი, რამაც შესაძლოა პროცესის დროს საქმის გაჭიანურება გამოიწვიოს. ზოგიერთ შემთხვევაში, CMC-ის ეტაპზე მხარეებს შორის შეთანხმების მიღწევამ გარკვეულ პროცედურულ საკითხებზე, შესაძლოა საერთოდ გამორიცხოს სასამართლოში საქმის განხილვის საჭიროება, ხოლო დანარჩენ შემთხვევებში კი იგი სასამართლო პროცესის გამარტივებასა და შეფერხებების გარეშე ჩატარებას უწყობს ხელს. მიუხედავად იმისა, რომ CMC-ზე მიღებული, მხარეთა შორის შეთანხმება ყველა შემთხვევისას სასამართლო პროცესის საჭიროებას ვერ აღმოფხვრის, იგი მაინც უმთავრეს ეტაპს წარმოადგენს მომავალი სასამართლო პროცესისთვის მოსამზადებლად.

შეხვედრაზე მოსამართლე ბალანდმა წარადგინა შუამდგომლობების დაყენების არსებული პრაქტიკის გაუმჯობესებათან დაკავშირებული რეკომენდაციები და მოსამართლეებს გაუზიარა გადაწყვეტილების მიღებისას საუკეთესო პრაქტიკის მაგალითები.

ქუთაისის საჯარო სკოლების მოსწავლეები მოსამართლეს შეხვდნენ, რათა მეტი გაეგოთ ქართული სამართლებრივი სისტემისა და ადამიანის უფლებების შესახებ

ქუთაისის მე-2 საჯარო სკოლაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე და ბავშვთა უფლებების პრაქტიკის ჯგუფის წევრი, **მიხეილ ბებიაშვილი** 100-ზე მეტ მოსწავლეს შეხვდა.

მოსწავლეები წარმოადგენდნენ სამოქალაქო განათლების კლუბებს ქუთაისის შვიდი საჯარო სკოლიდან. ღონისძიება USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის და USAID სამოქალაქო განათლების პროგრამის თანამშრომლობის ფარგლებში შედგა და ნაწილია საინფორმაციო შეხვედრების სერიისა, რომელიც აერთიანებს მოსამართლეებსა და საშუალო სკოლის მოსწავლეებს, რათა ხელი შეეწყოს მოსამართლის პროფესიის პოპულარიზაციას და დიალოგს ახალ თაობასა და სასამართლო ხელისუფლებას შორის.

შეხვედრის დაწყებამდე მოსწავლეებმა მოსამართლეს უამბეს ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული იმ პროექტების შესახებ, რომლებიც მათ USAID სამოქალაქო განათლების ინიციატივის ფარგლებში განახორციელეს.

შემდგომში, მოსამართლე მიხეილ ბებიაშვილმა ისაუბრა ხელისუფლების დანაწილების კონცეფციის, სახელმწიფო ინსტიტუტების როლის, სასამართლო ხელისუფლების მნიშვნელობისა და ინდივიდუალური მოსამართლეების პასუხისმგებლობის შესახებ.

მოსამართლეებმა და ადვოკატებმა ისაუბრეს სასამართლოში გენდერული სტერეოტიპებისა და სექსისტური გამონათქვამების შესახებ

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის ორგანიზებით (გამოხატვის თავისუფლების და ქალთა უფლებების) პრაქტიკის ჯგუფების წევრი მოსამართლეები შეხვდნენ ქალთა უფლებადამცველი ორგანიზაციების, იურიდიული დახმარების სამსახურის და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წარმომადგენლებს. შეხვედრის მონაწილეებმა იმსჯელეს გენდერული სტერეოტიპებისა და სექსისტური გამონათქვამების შესახებ და ერთმანეთს გაუზიარეს მოსაზრებები ქალებისთვის სასამართლოში თანასწორი მოპყრობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით.

ადამიანის უფლებათა ექსპერტმა, **ბესარიონ ბოხაშვილმა** და ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული ცენტრის (EHRAC) უფროსმა იურისტმა, **ქეით ლივაინმა** მიმოიხილეს ადამიანის უფლებათა სამართალში მოქმედი სტანდარტები და სამართლებრივი ეთიკის ის ნორმები რომლებიც ვრცელდება სასამართლო დარბაზში გენდერული სტერეოტიპებითა და სექსისტური გამონათქვამებით ქალთა მიმართ დისკრიმინაციის შემთხვევებზე. ქეით ლივაინმა ყურადღება გაამახვილა იმ ეთიკურ და სამართლებრივ სტანდარტებზე რომლებიც ვრცელდება ადვოკატებსა და იურისტებზე ინგლისსა და უელსში და განიხილა მაგალითები იმისა, თუ როგორ აღწევენ ბალანსს სასამართლოები დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპსა და ადვოკატთა გამოხატვის თავისუფლებას შორის.

ქეით ლივაინმა აგრეთვე იმსჯელა ადვოკატურის სტანდარტების საბჭოზე, რომელიც უზრუნველყოფს ადვოკატების ქცევის კოდექსისა და ძირითადი მოვალეობების აღსრულებას. მან ყურადღება გაამახვილა საბჭოს მიერ ბოლო დროს მიღებულ სოციალური მედიის გზამკვლევზე. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ გარკვეული ტიპის სექსისტური და დისკრიმინაციული პოსტები ადვოკატების მხრიდან შეიძლება სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი გახდეს, თუნდაც არ უკავშირდებოდეს რომელიმე სამართლებრივ წარმოებას. იმის გათვალისწინებით, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული ცენტრი დიდი ხანია თანამშრომლობს საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან საერთაშორისო ტრიბუნალებში სტრატეგიული სამართალწარმოების მიმართულებით, განსაკუთრებით ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებზე, ქეით ლივაინი კარგად იყო ინფორმირებული სექსიზმის, სექსუალური შევიწროებისა და გენდერული სტერეოტიპების შესახებ, რომლებიც ხშირად ქმნის პრობლემას საქართველოში. შესაბამისად მან ყურადღება გაერთიანებული სამეფოს პრაქტიკის იმ ასპექტებზე გაამახვილა, რომელიც განსაკუთრებით რელევანტური იყო საქართველოსთვის.

მოსამართლე ციცინო კიკვაძე ახალგაზრდებს ქალთა უფლებების შესახებ ესაუბრა

მოსამართლე **ციცინო კიკვაძე,** ტყიბულისა და წყალტუბოს მაგისტრატი მოსამართლე, ასევე ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე, „წიგნების თაობის“ 60 მოსწავლეს შეხვდა.

„წიგნების თაობა“ არის ინიციატივა, რომელსაც ხელმძღვანელობენ ქუთაისში სამოქალაქო განათლების მასწავლებლები და შექმნილია კითხვისადმი სიყვარულის გასაღვივებლად და სკოლის მოსწავლეებს შორის დისკუსიის გასაადვილებლად.

მოსამართლე კიკვაძემ მოსწავლეებთან საუბარი დაიწყო საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ქალთა უფლებების თაობაზე. მან მოსწავლეებს მიაწოდა ამომწურავი განმარტებები გენდერული ძალადობის, ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის, საკუთრების უფლების, ალიმენტისა და მემკვიდრეობის საკითხებთან დაკავშირებით, და ყურადღება გაამახვილა სამოქალაქო სამართალწარმოებაზე.

გარდა ამისა, მოსამართლემ გაუზიარა რეალური მაგალითები საკუთარი საქმეებიდან და ხაზი გაუსვა ოჯახში ძალადობის საქმეებში მტკიცებულებების მიწოდებასთან დაკავშირებულ გამოწვევებს. მან აღნიშნა, რომ კონფლიქტების შემდეგ ქალები ხშირად ყოყმანობენ სასამართლოში მოძალადეების წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე. გარდა ამისა, მოსამართლემ ასევე ისაუბრა ბავშვთა უფლებების კოდექსის მნიშვნელობაზე საქართველოში, რომელიც ქმნის მხარდამჭერ ჩარჩოს ბავშვებისთვის. მოსამართლის მოსმენის შემდეგ მოსწავლეებმა არაერთი კითხვა დასვეს.

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამამ კანონის უზენაესობის პირველი ფორუმი გამართა

კანონის უზენაესობის რეგიონული ფორუმში, რომელიც 2023 წლის 20 ნოემბერს გაიმართა, იმერეთის და აჭარის რეგიონის მართლმსაჯულების სფეროს, უნივერსიტეტების, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და მედიის 70 წარმომადგენელი მონაწილეობდა.

ფორუმმა ხელი შეუწყო მონაწილეებს შორის კანონის უზენაესობის საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას, წაახალისა თანამშრომლობა და კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების საკითხებზე მსჯელობა.

ფორუმის გახსნით სიტყვაში, USAID-ის მისიის დირექტორმა საქართველოში **ჯონ ა. პენელმა** ხაზი გაუსვა კანონის უზენაესობის მნიშვნელობას, როგორც მნიშვნელოვან დემოკრატიულ პრინციპს, რომელიც უზრუნველყოფს სამართლიანობას, მიუკერძოებლობას და დაცვის თანაბარ პირობებს ყველა მოქალაქისთვის.

მან აღნიშნა:

„დღეს ჩვენ აღვნიშნავთ სამართლის უზენაესობის ცენტრის მიღწევებს, რომელიც USAID-ის და ყველა თქვენგანის მხარდაჭერით შეიქმნა აქ, ბათუმში და ასევე ქუთაისში. ეს ჰაბები ადვოკატირებენ მოქალაქეთა უფლებებს, ახორციელებენ მართლმსაჯულების ახალ ინიციატივებს და მხარს უჭერენ ინოვაციურ პოლიტიკას, რომელიც აძლიერებს მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობას. 2022 წლის მარტიდან ბათუმის სამართლის უზენაესობის ჰაბმა ხელი შეუწყო იურიდიული პროფესიის წარმომადგენლებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებას, გაზარდა ინფორმირებულობა მართლმსაჯულების სისტემისა და სამართლებრივი უფლებების შესახებ და ფასილიტაცია გაუწია ადგილობრივი სამართლის სტუდენტების და აკადემიური სფეროს წარმომადგენლების ჩართულობას, და საჯარო დისკუსიებს საქართველოს მოქალაქეების საჭიროებებზე მართლმსაჯულების სფეროში“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარემ, **მერაბ ტურავამ** მისასალმებელ სიტყვაში განაცხადა:

„ეჭვგარეშეა, რომ მსგავსი მნიშვნელოვანი შეკრება პრაქტიკოს იურისტებსა და იურიდიული პროფესიის სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებს შორის ხელს უწყობს პროფესიული დიალოგის განვითარებას. ეს, თავის მხრივ, აუცილებელია კანონის უზენაესობის კონსტიტუციური პრინციპების დასაცავად. თემატური მოხსენებების წარდგენისა და საინტერესო დისკუსიების მეშვეობით მცირდება განსხვავება სამართლის თეორიულ და პრაქტიკულ გამოყენებას შორის. ეს მიდგომა განმარტავს სამართლებრივი პრობლემების გადაჭრის სტრატეგიებს, რომლებიც რეალურ სამყაროში წარმოიქმნება. ასეთი პროცესი შეუცვლელია სამართლებრივი სახელმწიფოს ეფექტური ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად“.

სესიებს უძღვებოდნენ USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის პარტნიორები, და მოიცავდა კანონის უზენაესობის აქტიური დაცვისა და პატივისცემის სტრატეგიების გაზიარებასა და განხილვას. დისკუსიები ფოკუსირებული იყო საზოგადოების ცნობადობის ამაღლებაზე კანონის უზენაესობის კონცეფციასთან მიმართებით და ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვასთან დაკავშირებულ გამოწვევებსა და საუკეთესო პრაქტიკაზე, მათ შორის მედიაციის როლზე საოჯახო დავებში.

მოსამართლეები და თანაშემწეები მედიაციის შესახებ ტრენინგს დაესწრნენ

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამამ მედიაციის შესახებ მოსამართლეებისა და თანაშემწეებისთვის (რომლებიც თბილისისა და რუსთავის საქალაქო, ქუთაისის სააპელაციო, მცხეთის, თელავის, გურჯაანის, თეთრიწყაროს, ახალციხის, გორის, საგარეჯოს, ბოლნისისა და ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოებს წარმოადგენდნენ) ორი პარალელური ტრენინგი ჩაატარა.

ტრენინგებს უძღვებოდნენ მედიაციის ექსპერტები, **ირაკლი ყანდაშვილი,** საქართველოს მედიატორთა ასოციაციის თავმჯდომარე, **ეთერ ჩაჩანიძე,** პრაქტიკოსი მედიატორი, რომელსაც მოსამართლეებთან მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს, **სოფიო ჩაჩავა,** საქართველოს მედიატორთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრი და პრაქტიკოსი მედიატორი და **ნათია ჩიტაშვილი,** საქართველოს მედიატორთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრი და მცხეთის რაიონული სასამართლოს მედიაციის ცენტრის კოორდინატორი.

ტრენინგებზე შემდეგ საკითხებზე მიმდინარეობდა მსჯელობა: რა განსხვავებაა მედიაციასა და სასამართლო მორიგებას შორის; სხვადასხვა ეტაპები, როდესაც მოსამართლეებს საქმეების მედიაციაში გადაცემა შეუძლიათ; ის ფაქტორები, რომლებიც მოსამართლეებმა და თანაშემწეებმა მედიაციაში გადასაცემი საქმეების შერჩევისას უნდა გაითვალისწინონ; საქმეების მედიაციაში გადაცემის ეტაპები და პროცედურები; ვინ არიან მედიატორები, როგორ ხდება მათი მომზადება და როგორ ირჩევენ მათ კონკრეტულ საქმეებზე.

გაერთიანებული სესიის მნიშვნელოვანი მომენტი იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის, **ნათია მარშანიას** მიერ გამოცდილების გაზიარება საქმეთა მედიაციაში გადამისამართების შესახებ. მოსამართლე მარშანიას განცხადებით, ბოლო ორი წლის განმავლობაში მან 65 საქმის გადამისამართება მოახდინა. მან ასევე აღნიშნა, რომ სწორედ მედიატორის დიდი შრომის შედეგი იყო ის საქმეებიც, სადაც მხარეებმა სამედიაციო შეთანხმებას ვერ მიაღწიეს, თუმცა მოგვიანებით სასამართლოში მორიგდნენ.

ექსპერტებმა ასევე მოახდინეს საკუთარი პრაქტიკული გამოცდილების გაზიარება იმის შესახებ, თუ როგორ წარმართავენ საქმეებს, როგორც მედიატორები და როგორ ხდება გადაცემის პროცესიის კოორდინირება. ტრენინგის ბოლოს მონაწილეებმა მადლიერება გამოხატეს ღონისძიების ორგანიზებისათვის და განაცხადეს, რომ ახლა უკეთ ესმით, თუ როგორ მიმდინარეობს მედიაციის პროცესი და რომ ისინი მზად არიან დაუყოვნებლივ მოახდინონ საქმეთა მედიაციაში გადამისამართება.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ადამიანის უფლებების სამართლის საუნივერსიტეტო კვირეულის ფარგლებში საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებს უმასპინძლა

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის 100-ზე მეტმა სტუდენტმა და ლექტორმა მოისმინა საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების **გიორგი კვერენჩხილაძის, ირინე იმერლიშვილის** და **გიორგი თევდორაშვილის** საჯარო ლექცია თემაზე: საკონსტიტუციო სასამართლოს როლი დემოკრატიული ღირებულებების და ფუნდამენტური უფლებების დაცვის პროცესში.

მომხსენებლებმა პრეზენტაციები გააკეთეს ყოველწლიური საუნივერსიტეტო ადამიანის უფლებების სამართლის კვირეულის დასაწყისში, რომელსაც ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი მასპინძლობდა.

მოსამართლე კვერენჩხილაძემ ხაზგასმით აღნიშნა:

„საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ადამიანის უფლებები და ფუნდამენტური თავისუფლებები ყველა ადამიანის თანდაყოლილი უფლებაა და თითოეული დემოკრატიული სახელმწიფოს მთავარი ვალდებულებაა მათი დაცვა და განვითარება“.

მან ისაუბრა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მნიშვნელოვან როლზე კონსტიტუციური უფლებების დაცვის პროცესში. გიორგი კვერენჩხილაძემ ასევე აღნიშნა, რომ ბოლო 27 წლის განმავლობაში სასამართლოს თანმიმდევრული განვითარების მიუხედავად, მეტი დრო და ძალისხმევაა საჭირო სასამართლოს ეფექტურობის გასაუმჯობესებლად და ხაზი გაუსვა ქვეყნის სამართლებრივი კულტურისა და ტრადიციების განვითარების მნიშვნელობას.

თავის გამოსვლაში მოსამართლე ირინე იმერლიშვილმა ისაუბრა საკონსტიტუციო სასამართლოს სტრუქტურასა და უფლებამოსილებაზე.

მოსამართლე გიორგი თევდორაშვილმა კი ყურადღება გაამახვილა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მნიშვნელოვან სასამართლო პრაქტიკაზე, კერძოდ კი ნორმის ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობის დადგენით საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციური კონტროლის ახალი პრაქტიკა ჩამოაყალიბა. ამგვარად, სასამართლომ გამოყო სადავო ნორმა და მისი ნორმატიული შინაარსი, რაც წინ გადადგმული ნაბიჯია ინდივიდთა ფუნდამენტური უფლებების დაცვის პროცესში. სტუდენტებმა დაუსვეს კითხვები მოსამართლეებს, რამაც გამოიწვია არაერთი არსებითი დისკუსია.

ვებინარი ახალციხის რაიონული სასამართლოს მოსამართლეებისა და თანამშრომლებისთვის

ახალციხის რაიონული სასამართლოს მოსამართლეებმა და სასამართლოს თანამშრომელმა მონაწილეობა მიიღეს USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის, და შეერთებულ შტატებში საზოგადოებაზე ორიენტირებული მართლმსაჯულების საკითხებზე მომუშავე ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი ორგანიზაციის, მართლმსაჯულების ინოვაციების ცენტრის (CJI) მიერ ორგანიზებულ ვებინარში.

ვებინარი ფოკუსირებული იყო სასამართლო ხელისუფლების როლზე სასამართლო-საზოგადოების ჩართულობაში და ადამიანებზე ორიენტირებულ მართლმსაჯულებაში. კონკრეტულად, ვებინარი ფოკუსირებული იყო ძირითად სტრატეგიებზე, რომლებიც სასამართლოს შეუძლია გამოიყენოს ადგილობრივი საზოგადოების საჭიროებების იდენტიფიცირებისთვის, თემის გამოკითხვებისა და ფოკუს ჯგუფების ჩატარებით. ვებინარი ემსახურებოდა სასამართლოს მხარდაჭერას საზოგადოებრივი ჩართულობის გეგმის (CEP) განხორციელებაში, რომელიც ჩამოყალიბდა ამ წლის დასაწყისში პროგრამის მხარდაჭერით. CEP მოიცავს ცხრა სათემო ჩართულობის აქტივობას, რომელიც განხორციელდება სასამართლოს მიერ მომდევნო სამი წლის განმავლობაში, დაწყებული ფოკუს-ჯგუფებითა და გამოკითხვებით თემის საჭიროებების ძირითადი სფეროების გასარკვევად.

მისასალმებელ სიტყვაში USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის საზოგადოების ჩართულობის მრჩეველმა, დოქტორმა **თიმ ბუნიევაცმა** აღნიშნა, რომ USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის ერთ-ერთი პრიორიტეტია საზოგადოებაზე ორიენტირებული მართლმსაჯულების ხელშეწყობა საქართველოში. მან განმარტა, რომ საზოგადოებაზე ორიენტირებული მართლმსაჯულების მიდგომები მიზნად ისახავს საზოგადოების დაუკმაყოფილებელი სამართლებრივი საჭიროებების მოგვარებასთან ერთად გააუმჯობესოს ინსტიტუტებისა და სერვისების მიმწოდებლების ეფექტიანობა მართლმსაჯულების პრობლემების გადაჭრაში. ამავდროულად, საზოგადოებაზე ორიენტირებული მართლმსაჯულება ორიენტირებულია სამართლიანობის მაძიებელზე, რათა გააუმჯობესოს სასამართლო სისტემაში განცდილი გამოცდილების ხარისხი და შედეგების სამართლიანობა.

ლინდსი პრაის ჯექსონმა, პროგრამის უფროსმა მენეჯერმა CJI-დან, გააზიარა სტრატეგიული დაგეგმვის მექანიზმი სასამართლო-საზოგადოების ჩართულობის გაზრდისთვის სასამართლო-საზოგადოებრივი გამოკითხვებისა და ფოკუს ჯგუფების მეშვეობით. მან დეტალურად განიხილა სათემო კვლევების ფორმულირებისა და განხორციელების პროცესი, მათ შორის გამოკითხვის კითხვების შერჩევისას და ფოკუს ჯგუფების ორგანიზებისას გადასადგმელი პრაქტიკული ნაბიჯები. მან ასევე უპასუხა მონაწილეების კითხვებს გამოკითხვებისა და ფოკუს ჯგუფების ჩატარებასთან დაკავშირებული პოტენციური გამოწვევების შესახებ, როგორიცაა, როგორ უნდა უზრუნველყოს მონაწილეთა წარმომადგენლობითი ჯგუფი, უზრუნველყოს, რომ პროცესი დარჩეს ანონიმური და შეარჩიოს შესაბამისი ფასილიტატორები.

ქალბატონმა ჯექსონმა ხაზი გაუსვა თემის წევრების ჩართვის მნიშვნელობას ამ აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელებაში, როგორც ამგვარი ინიციატივების გავლენის გაძლიერების საშუალებას.

მოსამართლე თამარ ჩიხლაძე რუსთავის საშუალო სკოლის მოსწავლეებს შეხვდა

თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე და გამოხატვისა და ქალთა უფლებების პრაქტიკის ჯგუფის წევრი, **თამარ ჩიხლაძე** შეხვდა 90-ზე მეტ უფროსკლასელს რუსთავის მე-4 საჯარო სკოლაში.

მოსწავლეები რუსთავის ოთხი სხვადასხვა საჯარო სკოლიდან შეიკრიბნენ. დასაწყისში, გაიმართა სტუდენტების მიერ მომზადებული პოსტერების პრეზენტაცია ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებზე, როგორიცაა გენდერული თანასწორობა და ოჯახში ძალადობა. მათ ისაუბრეს ჩართულობაზე ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ ინიციატივებში და კამპანიებში. ამის შემდეგ, მოსამართლე ჩიხლაძემ ისაუბრა ინდივიდუალური მოსამართლის პასუხისმგებლობაზე, არასრულწლოვანთა დაცვის სამართლებრივ გარანტიებზე, ადრეულ ქორწინებებთან დაკავშირებულ პრობლემებსა და მისი აკრძალვის მიზეზებზე.

მოსამართლე თამარ ჩიხლაძემ მიუთითა რამდენიმე სამართლებრივ მექანიზმზე, რომელიც იცავს ადამიანის ძირითად უფლებებს. მან პასუხი გასცა მოსწავლეების კითხვებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციასთან, თანასწორობასთან და საქართველოში არსებულ მოწყვლად ჯგუფებთან დაკავშირებით; აგრეთვე ისაუბრა ახლად წამოჭრილი სამართლებრივი პრობლემების გადაწყვეტის გზებზე. მოსამართლე ჩიხლაძემ მოსწავლეებს თავისი მიგნებები და შეხედულებები გაუზიარა ქალთა უფლებების დაცვის მნიშვნელოვან საკითხებზე.



ადვოკატებმა და მოსამართლეებმა აჭარიდან და იმერეთიდან საქართველოს სასამართლოების გადატვირთულობის შესახებ იმსჯელეს

ქუთაისსა და ბათუმში გაიმართა დისკუსია თემაზე საქართველოს სასამართლოებში საქმეების განხილვის შესახებ, რომელიც ორგანიზებული იყო USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მიერ, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციასთან (GBA) თანამშრომლობით. დისკუსიაში იურისტები და მოსამართლეები მონაწილეობდნენ.

GBA-ს და სასამართლო რეფორმების კომიტეტის წევრმა - **სოფიო სოხაძემ** წარმოადგინა პროგრამის მიერ დაფინანსებული და GBA - ის მიერ მომზადებული ნაკადების მართვასთან დაკავშირებული კვლევა და ფასილიტაცია გაუწია დისკუსიას ადვოკატებსა და მოსამართლეებს შორის აჭარის და იმერეთის რეგიონებიდან.

კვლევის მიხედვით, საქართველოს მართლმსაჯულების სისტემის წინაშე მდგარი ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა საქმეთა ნაკადის არაეფექტიანი მართვაა. ეს არა მხოლოდ აფერხებს კანონის უზენაესობის უზრუნველყოფას, არამედ უარყოფითად აისახება სამართლიანი სასამართლოს უფლებაზე. სასამართლო სისტემაში სამოქალაქო საქმეების უმეტესი ნაწილი სესხებსა და ვალდებულებებს ეხება, და საქმეების 60%-ს შეადგენს. შეგროვებული მონაცემებით,

აჭარაში ადმინისტრაციული და სამოქალაქო საქმეების დასრულების მაჩვენებელი რეგიონებს შორის ყველაზე დაბალია. 2020 წელს ქვემო ქართლის რეგიონში ადმინისტრაციული საქმეების დასრულების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი იყო 60.1%, ხოლო აჭარაში მხოლოდ 34%. დისკუსიის დროს ადვოკატებმა განიხილეს რამდენიმე პრობლემა, მათ შორის სასამართლოს სტატისტიკური მონაცემების ნაკლებობა, მოსამართლეთა არასაკმარისი რაოდენობა საქმეების განსახილველად, მოსამართლეებისთვის დროის მენეჯმენტის ტრენინგის საჭიროება, სასამართლოს მიერ ადვოკატებისთვის დასაბუთებული გადაწყვეტილებების დაგვიანებული მიწოდება და ხანგრძლივი სასამართლო პროცესის გამო ინტერესის დაკარგვა სამოქალაქო საქმის წარმოებაზე, რომელიც სამ წლამდეც შეიძლება გაგრძელდეს.

შეხვედრაზე მოსაზრებები გაუზიარეს მონაწილეებს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე, **ციცინო კიკვაძემ** და სამტრედიის რაიონული სასამართლოს მოსამართლე, **მურთაზ კაპანაძემ.** მათ აღნიშნეს ისეთი ნეგატიური პრაქტიკა, როგორიცაა მოსამართლეთა როტაცია, სასამართლოში დასაქმებისადმი ინტერესის ნაკლებობა და ადვოკატების მიერ საქმეთა გადადების მოთხოვნის მაღალი მაჩვენებელი.

მოსამართლეთა პრაქტიკის ჯგუფის წევრებმა სასამართლოში ბავშვის იურიდიული წარმომადგენლობის საკითხები განიხილეს

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერილი ბავშვთა უფლებების პრაქტიკის ჯგუფის წევრი მოსამართლეების შეხვედრა გაიმართა, რა დროსაც მონაწილეებმა განიხილეს საქართველოში ბავშვთა და ბავშვთა უფლებების იურიდიული წარმომადგენლობის კრიტიკული ასპექტები.

შეხვედრა USAID საქართველოს დემოკრატიის, უფლებებისა და მმართველობის ოფისის დირექტორის მოადგილემ, **ლიზა კოვაკმა** გახსნა. მან ხაზგასმით აღნიშნა მოსამართლეების თანამშრომლობის მნიშვნელობა ბავშვთა უფლებების დაცვასთან დაკავშირებული გამოწვევების გადასაჭრელად.

ქ-ნი კოვაკის მისალმების შემდეგ, მოსამართლეებმა რიგრიგობით ისაუბრეს სასამართლოში ბავშვის იურიდიული წარმომადგენლობის მარეგულირებელ ეროვნულ საკანონმდებლო ჩარჩოზე და სასამართლოს გამოწვევებზე ბავშვთა უფლებების დაცვის კუთხით. დისკუსია ასევე შეეხო ტრეფიკინგის მსხვერპლთა დახმარებისა და სახელმწიფო ზრუნვის საა-

გენტოს (სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო) ფუნქციების გამიჯვნას მშობლებს შორის დავისას და ინტერესთა კონფლიქტის საკითხს, მშობლის მიერ ბავშვისათვის ადვოკატის აყვანისას, ასევე კერძო და იურიდიული დახმარების სამსახურის იურისტების ურთიერთობას.

მოსამართლეები შეთანხმდნენ, რომ აუცილებელია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციასთან, იურიდიული დახმარების სამსახურთან და სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოსთან ერთად მუშაობის გაგრძელება სასამართლოებში ბავშვების წარმომადგენლობის პრაქტიკული პრობლემების გადასაჭრელად.

გენდერული თანასწორობის განვითარება სასამართლო სისტემაში: ცოდნის გაზიარება ქალ მოსამართლეთა საერთაშორისო კონფერენციებიდან

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამისა და ამერიკის მთავრობის ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის საერთაშორისო ბიუროს (INL) ორგანიზებით მოეწყო ვებინარი ქართველი მოსამართლეების მონაწილეობით, რომლებიც ამავდროულად არიან ქალთა უფლებების პრაქტიკის ჯგუფის წევრები.

ღონისძიება გახსნეს **პატრიცია უილდერმუტმა,** INL-ის უფროსმა სასამართლო მრჩეველმა და **რუსუდან ტაბატაძემ,** სამართლის უზენაესობის პროგრამის მენეჯერმა USAID/კავკასიაში.

ვებინარის დროს ქართველმა მოსამართლეებმა, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ქალ მოსამართლეთა საერთაშორისო კონფერენციაში (IAWJ) მაროკოში და ამერიკის ქალ მოსამართლეთა ეროვნული ასოციაციის (NAWJ) კონფერენციაში, ინდიანაპოლისში, ერთმანეთს და კოლეგებს გაუზიარეს ამ კონფერენციებიდან მიღებული ცოდნა, თუ როგორ შთააგონა ისინი ამ გამოცდილებამ, რომ კიდევ უფრო გულმოდგინედ იმუშავონ ქალთა უფლებების დასაცავად.

მოსამართლეებმა, რომლებმაც საერთაშორისო კონფერენციაში მიიღებს მონაწილეობა, ისაუბრეს აქტიური ქალი მოსამართლეების მნიშვნელობისა და იმ უნიკალური წვლილის შესახებ, რომელიც ქალი მოსამართლეებს შეუძლიათ შეიტანონ გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფაში, გენდერულ ძალადობის აღკვეთაში და საოჯახო დავების სამართლიანად განხილვაში.

ქალმა მოსამართლეებმა ისაუბრეს იმ ორმაგ სტანდარტებზე, რომელსაც აწყდებიან პროფესიული საქმიანობისას, გამოწვევაზე იყვნენ აღიარებულნი, როგორც კომპეტენტური და მცოდნე, თანაბრად მათი მამაკაცი კოლეგებისა, და ამ ყველაფერთან გამკლავების ტექნიკებზე. ხაზგასმით აღინიშნა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ამ საკითხებზე წუხილის ერთმანეთთან გაზიარება და სირთულეების ერთობლივად დაძლევა.

ყველა გამომსვლელმა მოსამართლემ გამოთქვა აღფრთოვანება იმის გამო, რაც მათ ნახეს და მოისმინეს კონფერენციებზე - შეხვდნენ შთამაგონებელ მომხსენებლებს და აღმოაჩინეს, რომ ქალი მოსამართლეები მსგავსი გამოწვევების წინაშე დგანან მთელ მსოფლიოში.

საკონსტიტუციო სამართალწარმოების სწავლების ფორუმი

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საკონსტიტუციო სამართალწარმოების სწავლებაზე ფოკუსირებულ პირველ ფორუმს უმასპინძლა. ღონისძიების ორგანიზება შესაძლებელი გახდა USAID სამართლის უზენაესობის პროგრამისა და ევროპის საბჭოსა და ევროკავშირის მხარდაჭერით.

ფორუმის უპირველესი მიზანი იყო საკონსტიტუციო სასამართლოსა და საქართველოს საუნივერსიტეტო საზოგადოებას შორის დიალოგის დამყარება, რაც ხელს შეუწყობს სწავლების მეთოდოლოგიისა და ერთიანი პრაქტიკის შემუშავებას, რომელიც დაინერგება საქართველოს ყველა უნივერსიტეტის მიერ, რათა სტუდენტებს მიაწოდოს საკოონსტიტუციო

სამართლის პრაქტიკის თეორიული და პრაქტიკული ცოდნა. ღონისძიებაში აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლების 40-ზე მეტი წარმომადგენელი მონაწილეობდა.

ფორუმი გაიხსნა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის, **მერაბ ტურავას,** USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის ხელმძღვანელის, **გიორგი ჩხეიძისა** და საქართველოში ევროსაბჭოს ოფისის პროექტის უფროსი ოფიცრის, **გიორგი გიორგაძის** მისალმებით.

ფორუმის სესიებს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეები უძღვებოდნენ. მათ შორის იყვნენ მოსამართლეები **გიორგი თევდორაშვილი, მანანა კობახიძე** და **თეიმურაზ ტუღუში.** პირველ სესიაზე უნივერსიტეტებს წარმომადგენლებმა ისაუბრეს ცალკეულ გამოწვევებზე, რომელიც მათ წინაშეა საკონსტიტუციო სამართლისა და პრაქტიკის სწავლების პროცესში. მომდევნო სესიის ფარგლებში საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებმაც გაიზიარეს თავიანთი ხედვა, თუ როგორი უნდა იყოს საკონსტიტუციო სამართალწარმოების სწავლება სამართლის სკოლებში.

მათ გამოკვეთეს ზოგიერთი აუცილებელი უნარ-ჩვევები, რომლებიც სტუდენტებს უნდა ჰქონდეთ საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში აქტიურად ჩართვისათვის, როგორც ადვოკატის, ისე საკონსტიტუციო სასამართლოს იურისტის როლში.

მოსამართლეებმა და მედიატორებმა კახეთში სამუშაო შეხვედრა გამართეს

საქართველოს მედიატორთა ასოციაციამ, USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით, თელავში სამუშაო შეხვედრა (ბენჩ-ბარი) გამართა, რომელსაც 20 მონაწილე, მათ შორის მოსამართლეები, თანაშემწეები და მედიატორები ესწრებოდნენ. ისინი კახეთის რეგიონს, კერძოდ თელავს, ყვარელს, გურჯაანსა და სიღნაღს წარმოადგენდნენ. შეხვედრა საქართველოს მედიატორთა ასოციაციის ძალისხმევის ნაწილია, რაც მიმართულია თანამშრომლობის გაზრდაზე სასამართლოებსა და იმ პირებს შორის, რომლებიც საქართველოში დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების განვითარებას ისახავენ მიზნად.

შეხვედრა **ირაკლი ყანდაშვილის,** საქართველოს მედიატორთა ასოციაციის თავმჯდომარის, **ირაკლი გელოვანის,** USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის ADR მრჩევლისა და **შალვა ჭკადუას,** თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მისასალმებელი სიტყვებით გაიხსნა. განხილვაში აქტიურად მონაწილეობდნენ თელავის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე **მარინე ცერცვაძე,** გურჯაანის რაიონული სასამართლოს მოსამართლე **გიორგი მთიულიშვილი** და საგარეჯოსა და დედოფლისწყაროს მაგისტრატი მოსამართლე **ალექსანდრე ლომიძე.**

დისკუსია მედიაციაში საქმეთა გადამისამართების თემაზე წარიმართა. მონაწილეთა თქმით, ამ მიმართულებით გაუმჯობესებაა. კახეთის რაიონული სასამართლოებიდან ახლადგახსნილ მედიაციის ცენტრებში 2023 წლის დეკემბრის შემდეგ 15 საქმე

გადაიგზავნა. ამ დინამიკას ხელი შეუწყო პროგრამის მიერ 2023 წლის ნოემბერში საქმეთა მედიაციაში გადაცემის შესახებ ჩატარებულმა ტრენინგმა.

მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ სიღნაღში არ არსებობს მედიაციის ცენტრი. მათი თქმით, მოსამართლეებს არ აქვთ კონკრეტული მითითებები იმის შესახებ, თუ რომელ ცენტრში უნდა გადაამისამართონ საქმეები. ირაკლი ყანდაშვილმა მონაწილეებს მედიაციის ცენტრის შერჩევის კონკრეტული წესები შესთავაზა, რომლის მიხედვითაც საქმეების გადამისამართება უახლოეს ცენტრში უნდა მოხდეს (იმ შემთხვევაში, თუ მხარეები რომელიმე კონკრეტულ მედიაციის ცენტრს არ მიუთითებენ).

მარინე ცერცვაძემ ხაზი გაუსვა მედიაციის მნიშვნელობას და აღნიშნა, რომ უპირატესობას ანიჭებს საქმეების მედიაციაზე გადაცემას მაშინაც კი, როცა ხედავს რომ საქმეს მისი ძალისხმევით გადაწყვეტის პოტენციალი გააჩნია. შეხვედრაზე ასევე განიხილეს მედიაციაზე გადაცემული საქმეების აღრიცხვის/რეგისტრაციის საკითხი, რითაც ამ კუთხით საერთო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობა გამოიკვეთა.

მონაწილეებმა თელავის, სიღნაღისა და გურჯაანის მედიატორების ჩართულობით ონლაინ მედიაციის საკითხზე იმსჯელეს და ერთმანეთს წარმატებული გამოცდილებები გაუზიარეს. დისკუსიისას აღინიშნა ფინანსური დავების მოგვარების სირთულე, განსაკუთრებით მცირე სასესხო/საკრედიტო საკითხების შესახებ, საოჯახო ან შრომით დავებთან შედარებით.

მოსამართლები და მედიატორები სასამართლო მედიაციის გაუმჯობესებისა და გაფართოებისთვის ერთიანდებიან

საქართველოს მედიატორთა ასოციაციამ, USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით, ქუთაისში სამუშაო შეხვედრა (ბენჩ-ბარი) გამართა, რომელსაც მოსამართლეები, თანაშემწეები და მედიატორები ესწრებოდნენ, რომლებიც ქუთაისის საქალაქო და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოებს წარმოადგენდნენ. შეხვედრა საქართველოს მედიატორთა ასოციაციის ძალისხმევის ნაწილია, რაც მიმართულია თანამშრომლობის გაზრდაზე სასამართლოებსა და იმ პირებს შორის, რომლებიც საქართველოში დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების განვითარებას ისახავენ მიზნად.

შეხვედრა **თამარ იმნაიშვილის,** საქართველოს მედიატორთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორის და **ირაკლი გელოვანის,** USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის ADR მრჩევლის მისასალმებელი სიტყვებით გაიხსნა. განხილვაში აქტიურად მონაწილეობდნენ **ციცინო მოსიძე** და **ციცინო კიკვაძე,** ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეები. მოსამართლე მოსიძემ განაცხადა, რომ მედიაციას სასამართლოების განტვირთვის ინსტრუმენტად მიიჩნევს. მან სამედიაციო საქმეების იდენტიფიცირების საკითხზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ამჟამად მას დაახლოებით 1500 სამოქალაქო საქმის გულდასმით შესწავლა უწევს, რათა დაადგინოს, არის თუ არა რომელიმე მედიაციისთვის შესაფერისი. მოსამართლე კიკვაძემ საქმის გადაცემის მისეული მიდგომა გაუზიარა მონაწილეებს. მისი თქმით, იგი შრომით დავებს ავტომატურად ამისამართებს მედიაციაში და მსგავს მიდგომას იყენებს საოჯახო

ტიპის დავების შემთხვევაშიც, სადაც prima facie შემოწმებას ატარებს იმის დასადგენად, თუ რამდენად მიზანშეწონილია მედიაცია, განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებში, სადაც საქმე ბავშვებს ეხება. მან ხაზი გაუსვა ადვოკატების საკითხს, რომლებიც ზოგჯერ ეწინააღმდეგებიან საქმეთა მედიაციაში გადამისამართებას და სასამართლო განხილვას ანიჭებენ უპირატესობას.

დისკუსია სხვადასხვა თემებზე გაგრძელდა, სადაც ისაუბრეს დავების ტიპებზე, რომლებიც შესაფერისია მედიაციისთვის, მაგ. როგორიცაა დავები, რომლებიც მოიცავს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს, შრომითი და ფინანსური დავები. მონაწილეებმა ასევე ისაუბრეს ტრენერების აკრედიტაციის აუცილებლობაზეც, რათა ადგილობრივი მედიატორებისთვის პროფესიული ტრენინგის უზრუნველყოფა მოხდეს.

გავხადოთ მართლმსაჯულება ყველასთვის ხელმისაწვდომი: მართლმსაჯულების სისტემის წარმომადგენლებმა იმსჯელეს მიღწევებსა და გამოწვევებზე

ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული ინსტიტუტების, მთავრობის, სასამართლოს, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და აკადემიური წრეების წარმომადგენლები შეიკრიბნენ თბილისში, USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მიერ ორგანიზებულ კონფერენციაზე: გავხადოთ მართლმსაჯულება ყველასთვის თანაბრად ხელმისაწვდომი.

კონფერენციამ შექმნა სივრცე - კანონის უზენაესობისა და მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის მნიშვნელოვან საკითხებზე - მონაწილეებს შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეწყობისთვის. 70-მა მონაწილემ მიმოიხილა საქართველოში არსებული სამართლის უზენაესობის ტენდენციები, იმსჯელა მიღწევებზე და ინსტიტუციების გაძლიერების საუკეთესო პრაქტიკაზე, მართლმსაჯულებაზე თანაბარი ხელმისაწვდომობის გაძლიერების მიზნით.

ღონისძიება ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში **რობინ ლ. დანიგანმა** გახსნა.

„დღევანდელ ღონისძიებაზე მონაწილეთა დიდი რაოდენობა აჩვენებს საქართველოს ერთგულებას ევროატლანტიკურ გზაზე წინსვლისკენ და ეს გზა საჭიროებს ძლიერ, დამოუკიდებელ, სანდო სასამართლოს, რომელიც იცავს ადამიანის უფლებებს. ამერიკის შეერთებული შტატები USAID-ის მეშვეობით მხარს უჭერს საქართველოში სასამართლო რეფორმას.“ - განაცხადა მან.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე **ნინო ბაქაქურმა** ისაუბრა წარმატებულ სტრატეგიული სამართალწარმოების საუკეთესო მაგალითებზე, სასამართლოს გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთების მნიშვნელობასა და როლზე, შექმნას მეტად სამართლიანი საზოგადოება.

კონფერენციაზე მონაწილეებმა ისაუბრეს ადამიანის უფლებების კუთხით არსებულ გამოწვევებსა და მიღწევებზე, მათ შორის - ბავშვთა, ქალთა, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების უფლებების დაცვის მიმართულებით.

ბავშვთა უფლებების პრაქტიკის ჯგუფის წევრებმა სასამართლოებში ბავშვთა წარმომადგენლობაზე იმსჯელეს

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით გაიმართა ბავშვის უფლებების პრაქტიკის ჯგუფის შეხვედრა. შეხვედრას ესწრებოდნენ მოსამართლეები სხვადასხვა სასამართლოდან, ასევე წარმომადგენლები საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან, იურიდიული დახმარების სამსახურიდან, სახელმწიფო ზრუნვის სააგენდოდან და ბავშვების უფლებადამცველი ორგანიზაციებიდან.

შეხვედრის დასაწყისში მოსამართლე **თამარ ონიანმა** (თბილისის სააპელაციო სასამართლო) განიხილა ქართულ კანონმდებლობასა და პრაქტიკაში ბავშვების სამართლებრივ წარმომადგენლობასთან დაკავშირებული გამოწვევები.

პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის თავმჯდომარემ, **თამარ გაბოძემ,** და იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორის მოადგილემ, **ნინო მელაძემ** აგრეთვე გაუზიარეს მონაწილეებს მათი გამოცდილება აღნიშნულ საკითხზე.

ადამიანის უფლებათა ექსპერტებმა ისაუბრეს საერთაშორისო სტანდარტებზე. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის წევრმა და ექსპერტმა **ბესარიონ ბოხაშვილმა** განიხილა ევროპის საბჭოს ინსტიტუტების მიერ შემუშავებული სტანდარტები (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, მინისტრთა კომიტეტი).

პენსილვანიის უნივერსიტეტის (ქერის სამართლის სკოლის) პროფესორმა, **კარა რ. ფინკმა** კი განიხილა ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლოებში ბავშვთა წარმომადგენლობასთან დაკავშირებული საუკეთესო პრაქტიკა და ეთიკური მოსაზრებები.

თბილისის საქალაქო სასამართლო მოსამართლე, **მანანა მესხიშვილმა,** საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **კონსტანტინე გელაშვილმა,** იურიდიული დახმარების სამსახურის უფროსმა, **შორენა ბოჭორიშვილმა,** და სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსმა, **ირმა ალადაშვილმა** მოსაზრებები გაუზიარეს მონაწილეებს იმასთან დაკავშირებით, რა განსხვავება უნდა არსებობდეს ადვოკატსა და პროცესუალური წარმომადგენლის როლებს შორის.

შეხვედრაზე წამოჭრილ საკითხებს მოყვა აქტიური განხილვა, რაც ადასტურებს ამ საკითხზე მეტი დისკუსიის და აქტორებს შორის მეტი თანამშრომლობის საჭიროებას სამართლის ერთგვაროვნი აღქმის ჩამოსაყალიბებლად.

მოსამართლე ნათია გუჯაბიძე ახალგაზრდებს ქალთა უფლებების შესახებ ესაუბრა

ქალთა ისტორიის თვის აღსანიშნად, 15 მარტს თბილისში სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე, **ნათია გუჯაბიძე** შეხვდა გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემიის 300-ზე მეტ მოსწავლეს და მათთან ერთად იმსჯელა სასამართლოებში ქალთა უფლებების დაცვის საკითხზე.

მოსამართლე გუჯაბიძემ ისაუბრა ინდივიდუალური მოსამართლის როლზეც, გაიხსენა რა თავისი კარიერული გზა ჯერ ადმინისტრაციული და შემდეგ სამოქალაქო სამართლის მოსამართლედ მუშაობისა.

მან იმსჯელა იმ გამოწვევებზე, რის წინაშეც აყენებს მოსამართლეს მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საქმეზე მუშაობა. მოსწავლეების კითხვების

პასუხად მოსამართლემ განმარტა განსხვავება ადმინისატრაციულ და სამოქალაქო სამართალს შორის და აღნიშნა რომ სამოქალაქო სამართლის საქმეებზე მუშაობა კანონის განმარტების უფრო ფართო შესაძლებლობას იძლევა და ამ მხრივ, მისთვის ეს უფრო საინტერესო სფეროა.

რთული სამართლებრივი ცნებები ახალგაზრდებისთვის თვალსაჩინო რომ ყოფილიყო, მოსამართლე ნათია გუჯაბიძემ განიხილა ორი საქმე. პირველ საქმეში, ორსული საჯარო მოხელე გაათავისუფლეს სამსახურიდან. მეორე საქმე ეხებოდა არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი წყვილის ქონების გაყოფას. ამ საქმის ფაქტები მოიცავდა 13 წლის გოგოს მოტაცებას ქორწინების მიზნით, რამაც მოსწავლეებში განსაკუთრებული აღშფოთება გამოიწვია. მათთვის რთულად წარმოსადგენი იყო რეალობა, სადაც ამგვარი ქცევა გავრცელებული იყო და ხშირად დაუსჯელი რჩებოდა.

მოსწავლეები დაინტერესდენენ მოსამართლეთა კარიერული გზით, ამ პროფესიი მთავარი გამოწვევებით და საქართველოს განვითარებადი სამართლებრივი რეალობით. მათ აგრეთვე კითხვები დასვეს მოსამართლე გუჯაბიძის მიერ განხილულ კონკრეტულ საქმეებთან დაკავშირებით.

ადვოკატობიდან მოსამართლეობამდე - ერთი ქალის ისტორია

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამამ, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტთან თანამშრომლობით, მოაწყო კარიერული საუბარი უზენაესი სასამართლოს მოსამართლე, **ეკატერინე გასიტაშვილის** მონაწილეობით. შეხვედრას სამცხე - ჯავახეთის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამართალმცოდნეობისა და საჯარო მმართველობის პროგრამებიდან 70-ზე მეტი სტუდენტი დაესწრო.

მოსამართლე გასიტაშვილმა ისაუბრა ქალის როლზე იურიდიულ პროფესიაში. კონკრეტულად, მან მონაწილეებს გაუზიარა შეხედულებები საკუთარი პროფესიული გამოცდილების შესახებ, რომლის დროსაც მან განვლო სამოქალაქო სპეციალიზაციით ადვოკატის ათწლიანი გზა და მიაღწია მოსამართლის ამჟამინდელ პოზიციას. ასევე მან განიხილა ის გამოწვევები, რომელთა წინაშეც დგანან ქალი იურისტები, პირადი, პროფესიული და სოციალური დაბრკოლებები რომელთა გადალახვაც უწევთ მათ იურიდიული განათლების ადრეული საფეხურებიდან - უზენაეს სასამართლოში მოსამართლეობის მიღწევამდე.

მოსამართლე გასიტაშვილმა ხაზი გაუსვა დემოკრატიულ საზოგადოებაში დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და ეფექტური სასამართლო სისტემის კრიტიკულ როლს. მან ისაუბრა სასამართლო ხელისუფლების პასუხისმგებლობაზე, სამართლებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფზე, დავების გადაჭრასა და ყველა მოქალაქის, განსაკუთრებით მოწყვლადი

ჯგუფების, რომლებსაც უჭირთ თავის დაცვა, უფლებებისა და თავისუფლებების დაცვზე. მოსამართლე გასიტაშვილმა ისაუბრა იმ ფუნდამენტურ ღირებულებებზე, რომლებითაც ხელმძღვანელობენ მოსამართლეები გადაწყვეტილების მიღებისას, მათ შორის დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა, პატიოსნება, თანასწორობა, კომპეტენცია და შრომის-

მოყვარეობა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ გაიდლაინების გარეშე, მართლმსაჯულების ეფექტური განხორციელება და კანონის უზენაესობის პატივისცემა საფრთხეში იქნება.

დისკუსიის ნაწილში სტუდენტებმა მოსამართლე გასიტაშვილს კითხვები დაუსვეს. მათი დაინტერესება მოსამართლის პროფესიულმა სინანულმა, შემდგომ მოსამართლეობის მოტივით იურიდიული კარიერის წარმართვამ და უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობებემა მიიქცია, თავის მხრივ ეკატერინე გასიტაშვილმა დასმულ კითხვებზე გულწრფელი პასუხები გასცა.

ამერიკელი მოსამართლეების მიერ ცოდნის და გამოცდილების გაზიარება სასამართლოში სექსიზმისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით

პროგრამის მხარდაჭერით ჩატარდა ქალთა უფლებებისა და გამოხატვის თავისუფლების პრაქტიკის ჯგუფების მოსამართლეთა შეხვედრა სასამართლო დარბაზში სექსიზმისა და დისკრიმინაციული გამოხატვის ქცევის საკითხზე.

11 ქართველი მოსამართლე და მათი თანაშემწეები შეხვდენენ ამერიკელ მოსამართლე **თიმოთი ბალანდს** რათა ემსჯელათ რეაგირების სათანადო ღონისძიებებზე იმ სიტყვიერი შეურაცხყოფის, დამცირების ან შერცხვენის პასუხად, რისი გადატანაც უწევთ ხოლმე სასამართლო პროცესების ქალ მონაწილეებს, მათ შორის ქალ მოსამართლეებს, როგორც სასამართლო დარბაზში, ისე სოციალურ მედიაში.

დასაწყისში, მოსამართლე ბალანდმა მიმოიხილა სამართლებრივი რესურსები, რაც ამერიკაში პროცესის მონაწილეებს ეხმარება საკუთარი ქცევის რეგულირებაში. ეს განსაკუთრებით ეხება ადვოკატებს, რომ მოიქცნენ ცივილიზებულად და პატივისცემა გამოიჩინონ სხვა მონაწილეების მიმართ სასამართლოში. მოსამართლე ბალანდმა შეადარა არსებული ქართული რეგულაციები ნიუ იორკისა და კალიფორნიის შტატების მსგავს კანონმდებლობებს, რომლებიც შეიცავენ ბევრად უფრო ვრცელ და დეტალურ წესებს, ვიდრე ქართული რეგულაციები. მან ქართველ მოსამართლეებთან ერთად იმსჯელა მსგავსი ქცევის წესების საჭიროებაზე საქართველოს სასა-

მართლოებში მხარეთა შეურაცხმყოფელი და დისკრიმინაციული ქცევის რეგულირებისთვის.

მოგვიანებით, დღის მეორე ნახევარში, მოსამართლე **ვენდი ჩანი** (ლოს ანჯელესის პირველი ინსტანციის სასამართლო, კალიფორნია) ონლაინ შემოუერთდა შეხვედრას. როგორც ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის ეთიკისა და პროფესიული პასუხისმგებლობის მუდმივმოქმედი კომისიის ყოფილი წევრი, ის წარსულში აქტიურად იყო ჩაბმული ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ქცევის მოდელური წესების ცვლილების მიღების პროცესში, რომლის თანახმადაც შევიწროება და დისკრიმინაცია ადვოკატის პროფესიულ გადაცდომად გამოცხადდა. მან მონაწილეებს გაუზიარა 8.4(ზ) მოდელური წესის მიღების ისტორია. აღნიშნული წესი მხოლოდ მას შემდეგ მიიღეს, რაც ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის წევრებმა გააანალიზეს რამდენად გავრცელებული იყო ქალი ადვოკატების შევიწროება და დისკრიმინაცია. მან აგრეთვე განმარტა, რომ ადვოკატები ღელავდნენ მათი გამოხატვის თავისუფლების შესაძლო შეზღუდვის გამო და ამ რისკების დასაზღვევად, გარკვეული პირობები დაემატა წესს. მოსამართლე ჩანმა ხაზი გაუსვა იმას, რომ დისკრიმინაციისა და შევიწროების ზოგადი აკრძალვა არ ქმნის საკმარის გარანტიას სასამართლო დარბაზში პატივისცემაზე დაფუძნებული ქცევის უზრუნველსაყოფად და დამატებით საჭიროა ცივილური ურთიერთობის წესების გაწერა მონაწილეებისთვის. მოსამართლე ჩანმა უპასუხა ქართველი მოსამართლეების კითხვებსაც იმასთან დაკავშირებით, თუ რა არის ყველაზე ოპტიმალური გზა შეურაცხმყოფელ და შემავიწროვებელ ქცევაზე საპასუხოდ და გაუზიარა მონაწილეებს ასეთ ქცევასთან გამკლავების საკუთარი სტრატეგიები.

მოსამართლეობა ადრეული ასაკიდან - წარმატება და სირთულე

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამამ, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობითა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის **ქეთევან მესხიშვილის** მონაწილეობით ქალთა შრომით უფლებებზე კარიერული საუბარი მოაწყო. ღონისძიება ქალთა ისტორიის თვის ფარგლებში გაიმართა.

შეხვედრას სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული და საჯარო მმართველობის ფაკულტეტების 50-მდე სტუდენტი დაესწრო.

შეხვედრის დასაწყისში მოსამართლე მესხიშვილმა სტუდენტებთან შეხვედრის შესაძლებლობისთვის მადლიერება გამოხატა და გამოთქვა მომავალი თაობისთვის ცოდნისა და გამოცდილების მზადყოფნისთვის მუდმივი გაზიარების მზაობა ქეთევან მესხიშვილის გადმოცემით, იგი მოსამართლე 28 წლის ასაკში გახდა და 14 წლის განმავლობაში ასრულებს სასამართლო მოვალეობას. შეხვედრაზე სააპელაციო სასამართლოს მოსამართლემ შრომის ბაზარზე გენდერული დისკრიმინაციის საკითხები განიხილა და მონაწილეებს იმ ოჯახური, სოციალური და გარემო პირობების შესახებ უამბო, რომელიც ქალის პროფესიულ განვითარებას უშლის ხელს, ასევე მოსამართლემ სტუდენტებს ურჩია, ყოველდღიურად მინიმუმ 15 წუთი დაუთმონ პროფესიულ ზრდას და 5-15 წელიწადში ისინი საკუთარი პროფესიონალიზმის მკვეთრი ზრდის მოწმენი გახდებიან.

სამცხე-ჯავახეთის იურისტები და სასამართლოს თანამშრომლები იუმჯობესებენ შრომის სამართლის ცოდნას

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციისა და იურიდიული დახმარების სამსახურის 24-მა იურისტმა, ასევე ახალციხის, ასპინძისა და ახალქალაქის ადვოკატებმა, ახალციხის რაიონული სასამართლოს თანამშრომლებთან ერთად, მონაწილეობა მიიღეს USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მიერ ორგანიზებულ შრომის სამართლის ტრენინგში.

შეხვედრაზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლე **ქეთევან მესხიშვილმა,** საქართველოში შრომისა და დასაქმების სხვადასხვა საკითხები განიხილა. მან ისაუბრა ისეთ თემებზე, როგორიცაა დასაქმებულთა და დამსაქმებელთა უფლებები, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები, შრომითი უფლებები და პერსონალური მონაცემების კონფიდენციალურობა. ტრენინგის დასკვნით ნაწილში განხილულ იქნა შრომითი დავების შესახებ სასამართლო პრაქტიკა, მონაწილეებს საშუალება ჰქონდათ გაემართათ დისკუსია და დაესვათ კითხვები ექსპერტისთვის.

მათი განსაკუთრებული დაინტერესება სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებული პირის იგივე ან შესაბამის თანამდებობაზე აღდგენამ და კომპენსაციის მიღებამ დაიმსახურა. შეხვედრა სამართლის უზენაესობის პროგრამის ჰაბის ორგანიზებით გაიმართა, რომელიც სამცხე-ჯავახეთში ადგილობრივი იურისტების ცოდნისა და უნარების გაღრმავების მიზნით გასატარებელი ტრენინგების სერიიდან პირველია.

მოსამართლეები და თანაშემწეები მედიაციის შესახებ ტრენინგს დაესწრნენ

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამამ მედიაციის შესახებ ორ პარალელურ ტრენინგს უმასპინძლა, რომელშიც მონაწილეობა მცხეთის რაიონული სასასამართლოსა და თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეებმა და თანაშემწეებმა მიიღეს.

ტრენინგებს უძღვებოდნენ მედიაციის ექსპერტები **ირაკლი ყანდაშვილი** (საქართველოს მედიატორთა ასოციაციის თავმჯდომარე), **ეთერ ჩაჩანიძე** (პრაქტიკოსი მედიატორი, რომელსაც მოსამართლეებთან მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს), **სოფიო ჩაჩავა** (საქართველოს მედიატორთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრი და პრაქტიკოსი მედიატორი) და **ელენე ორჯონიკიძე** (საქართველოს მედიატორთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრი და თბილისის საქალაქო სასამართლოს მედიაციის ცენტრის კოორდინატორი).

ტრენინგებზე, რომლებშიც 17 მოსამართლე და 32 თანაშემწე მონაწილეობდა, ყურადღება შემდეგ ძირითად საკითხებზე გამახვილდა: განსხვავება მედიაციასა და სასამართლო მორიგებას შორის; მედიაციის არსი, პრინციპები, სტადიები; მედიაციისათვის საქმის გადაცემის კრიტერიუმები და ის ფაქტორები, რომლებიც მოსამართლეებმა და თანაშემწეებმა მედიაციაში გადასაცემი საქმეების შერჩევისას უნდა გაითვალისწინონ; მედიაციაში საქმის გადაცემის პროცესი; ინფორმაცია საქართველოს მედიატორთა ასოციაციის შესახებ, მათ შორის, როგორ ხდება მედიატორთა მომზადება და როგორ ირჩევენ მათ კონკრეტულ საქმეებზე; მედიაციის ცენტრის კოორდინატორებთან თანამშრომლობა; საინფორმაციო შეხვედრების სხვადასხვა მოდელების შესახებ მსჯელობა მოსამართლეების, კონსულტანტების, თანაშემწეებისა და მედიატორების ჩართულობით.

მიუხედავად იმისა, რომ სესიების უმეტესობა პარალელურად მიმდინარებოდა ჯგუფებში (მოსამართლეებისა და თანაშემწეებისთვის ცალ-ცალკე), ყოველი დღის ბოლოს ყველა მონაწილე გაერთიანებულ სესიებს ესწრებოდა, სადაც საერთო საკითხების განხილვა და გამოცდილების გაზიარება ხდებოდა.

ტრენერებმა ასევე ისაუბრეს მედიაციის განვითარების ბოლოდროინდელ პრაქტიკაზე, სადაც ხაზგასმით აღნიშნეს შრომითი და საოჯახო კატეგორიის დავების ავტომატური გადამისამართების ტენდენცია. მათ ხაზი გაუსვეს სასამართლო სხდომამდე მედიაციის სარგებლიანობის შესახებ სავალდებულო საინფორმაციო სესიების მნიშვნელობას.

ტრენინგის ბოლოს მონაწილეებმა მადლიერება გამოხატეს ღონისძიების ორგანიზებისათვის და აღნიშნეს, რომ ახლა მედიაციის სფეროში მიმდინარე მოვლენებზე სრულად არიან ინფორმირებულნი.

მოსამართლე ხათუნა ჯინორია თბილისის თანამედროვე განათლების აკადემიის საშუალო სკოლის მოსწავლეებს შეხვდა

თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე, **ხათუნა ჯინორია** ეწვია თანამედროვე განათლების აკადემიას თბილისში და შეხვდა 40 უფროსკლასელს. ის მოსწავლეებს ესაუბრა საქართველოს სამართლებრივ სისტემაში ბავშვის ძირითად უფლებებზე და ამ უფლებების დაცვისთვის სასამართლოს როლის მნიშვნელობაზე.

მოსამართლე ჯინორიამ მოსწავლეებს გაუზიარა თავისი ხედვა მოსამართლის ყოველდღიურ საქმიანობასთან დაკავშირებით. მან აგრეთვე ისაუბრა განვლილ კარიერულ გზაზე, რამაც განაპირობა მისი მოსამართლეობა და იმ გამოწვევებზე, რისი გადალახვაც მოსამართლეებს უწევთ სისტემატურად, განსაკუთრებით როდესაც სენსიტიურ საქმეებზე მუშაობენ.

მოსწავლეებმა განსაკუთრებით ინტერესი გამოხატეს მოსამართლედ დანიშვნის პროცესის მიმართ, იმ გამოწვევების მიმართ, რის წინაშეც ახალგაზრდა ქალი შეიძლება აღმოჩნდეს იურიდიული პროფესიის არჩევისას და შესაბამისი კარიერის შექმნისას და აგრეთვე იმ მორალური დილემების მიმართ, რასაც მოსამართლეები განიცდიან საქმეების გადაწყვეტისას.

სამუშაო შეხვედრა აღმოსავლეთ საქართველოს სასამართლო მედიაციის ახლადგახსნილ ცენტრებში არსებული გამოწვევებისა და პრაქტიკის შესახებ

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით, საქართველოს მედიატორთა ასოციაციამ კაჭრეთში შეხვედრა გამართა, რომელსაც აღმოსავლეთ საქართველოს სასამართლო მედიაციის ახლადგახსნილი ცენტრების ათი წარმომადგენელი დაესწრო. მონაწილეები მცხეთის, ახალციხის,

თელავის, გურჯაანის, ბოლნისის, თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოების, ასევე დედოფლისწყაროსა და საგარეჯოს მაგისტრატი სასამართლოების მენეჯერები და სასამართლო აპარატის თანამშრომლები იყვნენ. შეხვედრის მიზანს სამედიაციო საქმეთა გადაცემა/რეფერირების დროს არსებული პრაქტიკისა და გამოწვევების ანალიზი, აგრეთვე სამედიაციო საქმეთა სტატისტიკური მონაცემების დამუშავების წესისა და სტანდარტის შემოღება წარმოადგენდა. განხილვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემა მედიაციის პროცესში ადვოკატების როლი იყო.

მონაწილეები შეთანხმდნენ, რომ აუცილებელია მედიაციის საქმეების სტატისტიკური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებული სამართალწარმოებისთვის სტანდარტიზებული დოკუმენტაციის შემუშავება მოხდეს. ასევე აღინიშნა, რომ მნიშვნელოვანია დაიგეგმოს შეხვედრა, სადაც სასამართლოს წარმომადგენლები გამოთქვამენ მოსაზრებებს აღნიშნული დოკუმენტების შესახებ. პროცესში ჩართული იქნება ექსპერტიც, რომელიც დოკუმენტაციის სამართლებრივ სტანდარტებთან შესაბამისობას უზრუნველყოფს.

შედეგად მიღებული სტანდარტული დოკუმენტაცია ყველა სასამართლო ცენტრს გაეგზავნება და ისინი იკისრებენ ვალდებულებას, რომ ამ დოკუმენტებს მათ რეესტრში რეგისტრირებულ მედიატორებს გაუზიარებენ.

გარდა ამისა, მონაწილეებმა ხაზი გაუსვეს სასამართლო მედიაციის ცენტრებში კადრების დეფიციტს, რაც გავლენას ახდენს მიმდინარე პრაქტიკაზე. შეხვედრაზე, რომელიც დისკუსიის ფორმატში ჩატარდა, ყველა სასამართლო ცენტრის წარმომადგენელმა სამომავლო ერთიანი თანამრომლობის მზაობა გამოთქვა, რაც მიზნად ისახავს სტატისტიკური მონაცემების დამუშავების ერთიანი მოდელის შემუშავებას, რომელიც შესაბამისობაში იქნება დადგენილ სტანდარტებთან.

ქართველი მოსამართლეები თანამშრომლობენ „ბენჩბუქების“ შესაქმნელად, რომლებიც დაეხმარება მოსამართლეებს გადაწყვეტილების მიღების პროცესში

19-21 აპრილს, ბორჯომში გაიმართა იმ მოსამართლეების შეხვედრა, რომლებიც წერენ „ბენჩბუქებს“ გამოხატვის თავისუფლების, ქალთა საკუთრების უფლების და სამოქალაქო და ადმინისტრაციულ პროცესში ბავშვის უფლებების საკითხებზე.

„ბენჩბუქები“, რომლებიც უაღრესად გამოსადეგი გზამკვლევებია მოსამართლეებს სთავაზობს სხვადასხვა თემაზე სამართლებრივი ინფორმაციის სწრაფად მოძიების შესაძლებლობას.

ბოლო შეხვედრაზე მონაწილეებს ქონდათ შესაძლებლობა თავიანთი მიმდინარე პროექტები წარმოედგინათ და განეხილათ კოლეგებთან, მათ შორის ამერიკელ მოსამართლე **თიმოთი ბალანდთან** ერთად და მიეღოთ უკუკავშირი. მოსამართლე ბალანდი USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მეშვეობით სამოსამართლო გაცვლითი ღონისძიებების ფარგლებში იმყოფება საქართველოში.

მოსამართლე ბალანდს „ბენჩბუქებთან“ მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს. მან ხაზი გაუსვა თუ რამდენად მნიშვნელოვანია „ბენჩბუქი“ მომხმარებლისთვის ადვილად გამოსაყენებელი იყოს და მკითხველს

საშუალებას აძლევდეს სწრაფად მოახდინოს შესაბამისი კანონების იდენტიფიცირება, ნაბიჯ-ნაბიჯ გადმოსცეს პროცედურა და ლაკონურად შეეხოს ყველა ცენტრალურ საკითხს.

მონაწილე მოსამართლეები შეთანხმდნენ სამუშაო პროცესის შემდგომ ეტაპებზე და გამოხატეს ენთუზიაზმი პირველი „ბენჩბუქების“ შექმნის პროცესის მიმართ. ეს ნაშრომები დაეხმარება ქართველ მოსამართლეებს სწრაფად და მარტივად მოახდინონ რელევანტური სამართლებრივი წყაროების იდენტიფიცირება გამოხატვის თავისუფლებაზე, ქალთა უფლებებზე და ბავშვების საპროცესო უფლებებზე.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების საჯარო განხილვა გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტში

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეები ეწვიენ გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტს, რათა შეხვედროდნენ სამართლის სკოლის 100-ზე მეტ სტუდენტსა და პროფესორებს და მათთან ერთად განეხილათ საკონსტიტუციო სასამართლოს ორი უახლესი გადაწყვეტილება განათლების უფლებასთან დაკავშირებით.

უნივერსიტეტის რექტორმა, **მამუკა თავხელიძემ** შეხვედრა გახსნა ღია აკადემიური განხილვის და სასამართლოსთან და USAID-თან თანამშრომლობის მნიშვნელობაზე საუბრით.

ამის შემდეგ სიტყვა გადაეცა საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს, **მერაბ ტურავას,** რომელიც მიესალმა მონაწილეებს და შემდეგ მოდერირება გაუწია განხილვას საკონსტიტუციო სასამართლოს ორი მოსამართლის - **მანანა კობახიძის** და **ევა გოცირიძის** მონაწილეობით.

მოსამართლე მანანა კობახიძემ ორი ვრცელი პრეზენტაცია წარმოადგინა #2/7/1528 და #2/3/1559 საქმეებზე. პირველ საქმეში, საკონსტიტუციო სასამართლო დაერყდნო საქართველო სკონსტიტუციის 27-ე მუხლის პირველ პუნქტს და არაკონსტიტუციურად ცნო სადავო ნორმის კონკრეტული ნორმატიული შინაარსი, რომელიც გამორიცხავდა საზღვარგარეთ არსებულ უნივერსიტეტში სრულად დისტანციური პროგრამის ფარგლებში მიღებული უმაღლესი განათლების აღიარებას. მეორე, #2/3/1559 საქმეში, სადავო ნორმა მოსარჩელეებს - მომავალ სტუდენტებს ართმევდა დამატებითი გამოცდის მოთხოვნის უფლებას, თუ

ისინი ვერ გამოცხადდებოდნენ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მაშინაც კი, როდესაც ამგვარ გამოუცხადებლობას ობიექტური მიზეზი ქონდა. საკონსტიტუციო სასამართლომ დაასკვნა რომ არც რესურსების დაზოგვის ინტერესი და არც ქულების თანასწორი შეფასების უზრუნველყოფის ლეგიტიმური მიზანი ამართლებდა უმაღლესი განათლების მიღებისა და სახელმწიფო დაფინანსების მოპოვების უფლების იმგვარ შეზღუდვას, რაც სადავო ნორმებით იყო გათვალისწინებული.

საქართველოს მოსამართლეების სასწავლო ვიზიტი აშშ-ში შრომის უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებზე

საქართველოს 10 მოსამართლისაგან შემდგარი დელეგაცია თბილისის, რუსთავისა და გორის საქალაქო სასამართლოებიდან, ასევე, თბილისის სააპელაციო სასამართლოდან და სოხუმისა და გუდაუთის რაიონული სასამართლოდან ქ. ვაშინგტონში, კოლუმბიის ოლქი, და კალიფორნიის შტატში, ქ. ლოს-ანჯელესში გაემგზავრნენ შრომის უფლებებისა და მასთან დაკავშირებული საკითხების სასწავლო ვიზიტზე.

2024 წლის 15-26 აპრილს გამართულმა სასწავლო ვიზიტმა, რომელიც ორგანიზებული იყო ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივის (ABA ROLI) მიერ USAID სამართლის უზენაესობის პროგრამასთან თანამშრომლობით, საქართველოს მოსამართლეებს მრავალფეროვანი გამოცდილება შესძინა სხვადასხვა სესიებსა და შეხვედრებში მონაწილეობით, სასამართლო პროცესებზე დაკვირვებით, რაც თავის მხრივ შრომით უფლებებსა და მასთან დაკავშირებულ საკითხებს მოიცავდა.

ვაშინგტონში ვიზიტი დაიწყო გაცნობითი ხასიათის სესიით, რომელსაც ABA ROLI-ს მომხსენებლები უძღვებოდნენ. მოსამართლეები ორგანიზაციის გლობალური მასშტაბის საქმიანობას გაეცნენ და ABA-ს სამოქალაქო უფლებებისა და სოციალური სამართლიანობის განყოფილების თავმჯდომარეს, **რობინ რანჯს,** შეხვდნენ. მოსამართლეები ასევე შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ექსპერტებს შეხვდნენ, რომლებმაც საქართველოს მოსამართლეებს სააგენტოს როლი გააცნეს მსოფლიოში ადამიანის უფლებების დაცვის ხელშეწყობაში.

კონკრეტულად შრომის უფლებებზე საქართველოს დელეგაცია შეხვდა ისეთ ორგანიზაციებს, როგორიცაა შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის ადმინისტრაცია (OSHA), ვაშინგტონის ადვოკატთა სამოქალაქო უფლებებისა და ურბანული საკითხების კომიტეტი და ქალთა სამართლის ეროვნულ ცენტრი. ლოს-ანჯელესში, დელეგაციამ შრომითი უფლებების საკითხების შესწავლა ისეთ ინსტიტუტებში განაგრძო,

როგორიცაა სტენლი მოსკის სასამართლო სახლი და ლოს-ანჯელესის ოლქის, კალიფორნიის უმაღლესი სასამართლო. პროცესებზე დაკვირვებით, მოსამართლეებთან და სამართლის ექსპერტებთან საუბრით, საქართველოს მოსამართლეები პირადად გაეცნენ შრომის სამართლისა და პრაქტიკულ გამოწვევებს აშშ-ს სასამართლო სისტემაში.

სასწავლო ვიზიტის ერთ-ერთი გამორჩეული შეხვედრა Bet Tzedek-თან გაიმართა, რომელიც ლოს-ანჯელესის ცენტრში მდებარე არაკომერციული იურიდიული ფირმაა. დელეგაცია Bet Tzedek-ის პრეზიდენტსა და აღმასრულებელ დირექტორს დიეგო კარტახენას და დასაქმების ჯგუფის ხელმძღვანელს, მერი როსს შეხვდა. სამუშაო სესიაზე ისაუბრეს Bet Tzedek-ის ძალისხმევაზე უზრუნველყოს სამართლიანობაზე თანაბარი ხელმისაწვდომობა ყველასთვის, განსაკუთრებით შრომითი უფლებებისა და დასაქმების კანონმდებლობის სფეროში.

„მედიაცია ბიზნესისთვის“ დღეები ბათუმში: დავების ალტერნატიული გადაწყვეტის ხელშეწყობა

25 აპრილიდან 27 აპრილამდე, საქართველოს მედიატორთა ასოციაციამ, USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით, ბათუმში „მედიაცია ბიზნესისთვის“ დღეების ფარგლებში რამდენიმე ღონისძიება გამართა. ეს ღონისძიებები მიზნად ისახავდა ადგილობრივ ბიზნესებს შორის მედიაციის შესახებ ცნობიერების ამაღლებას, რაც ბიზნეს ორგანიზაციებისა და პრაქტიკოსი იურისტებისთვის მნიშვნელოვანი პლატფორმაა, რათა მათ მედიაციის უპირატესობებისა და ამ მიმართულებით არსებული მზარდი პერსპექტივის შესახებ მეტი ინფორმაცია მიიღონ.

სამი დღის განმავლობაში, 180-მა მონაწილემ, რომელთა შორისაც კერძო სექტორის წარმომადგენლები, მედიატორები, იურისტები და მოსამართლეები იყვნენ, მედიაციის პრინციპებისა და მისი პრაქტიკული გამოყენების შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაცია მიიღო.

25 აპრილს, მოსამართლეებსა და მედიატორებს შორის სამუშაო შეხვედრა (ბენჩ-ბარი) გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლებმა **ირმა ტოგონიძემ, გულიკო კაჟაშვილმა, ხათუნა ბოლქვაძემ, სალიხ შაინიძემ,** ასევე ბათუმში მოღვაწე მედიატორებმა მიიღეს. შეხვედრის მიზანი თანამშრომლობის გაძლიერება და აჭარაში მედიაციასთან დაკავშირებული ძირითადი გამოწვევების განხილვა იყო. საუბარი შეეხო სხვადასხვა სახის დავებს, მათ შორის შრომით, კომერციულ და სამშენებლო დავებს.

მოსამართლე გულიკო კაჟაშვილმა ხაზი გაუსვა პირისპირ დისკუსიის მნიშვნელობას, რათა მოსამართლეებსა და მედიატორებს შორის ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის ხელშეწყობა მოხდეს. მისი განცხადებით, იგი საქმეთა მედიაციაში გადაცემას პროაქტიულად ახორციელებს, განსაკუთრებით კი, იმ საქმეებზე, რომლებიც ალიმენტისა და მემკვიდრეობის საკითხებს ეხება.

ღონისძიებაზე მოწვეული მომხსენებელი დოქტორი **ნადია ალექსანდერი,** სამართლის პროფესორი და სინგაპურის დავების გადაწყვეტის საერთაშორისო აკადემიის (SIDRA) დირექტორი იყო, რომელმაც ბიზნესისთვის მედიაციის უპირატესობებზე ისაუბრა. დოქტორმა ალექსანდერმა ხაზგასმით აღნიშნა, თუ როგორ შეუძლია მედიაციას გაამარტივოს დავების გადაწყვეტის პროცესები, შეამციროს ხარჯები და დაეხმაროს მხარეებს ღირებული საქმიანი ურთიერთობების შენარჩუნებაში.

საჯარო ლექცია სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში - საკონსტიტუციო ზედამხედველობის შესახებ

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამამ, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტთან და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსთან თანამშრომლობით გამართა საჯარო ლექცია, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის, **მანანა კობახიძის** მონაწილეობით.

ლექციას სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამართალმცოდნეობისა და საჯარო მმართველობის პროგრამების 30-ზე მეტი სტუდენტი დაესწრო. სტუდენტებსა და დამსწრე საზოგადოებას შესავალი სიტყვით მიმართეს: რექტორის მოადგილე, **ნიკო ახალკაცმა** და იურიდიული ფაკულტეტის დეკანმა, **დავით ხობელიამ.** ახალკაცმა ხაზი გაუსვა სტუდენტების დარგის წამყვან ექსპერტებთან შეხვედრის მნიშვნელობას და ასეთი ურთიერთქმედების საჭიროებას მათი პროფესიული განვითარებისთვის.

მოსამართლე კობახიძემ განიხილა საქართველოს კონსტიტუციის ისტორია მრავალმხრივ კონტექტსტში, სადაც ხაზი გაუსვა საკონსტიტუციო სასამართლოში მოსამართლეთა მეშვეობით განხორციელებულ ზედამხედველობის გადამწყვეტ როლს. მან ყურადღება გაამახვილა სასამართლოს მთავარ პასუხისმგებლობაზე ფუნდამენტური კონსტიტუციური უფლებების დაცვაში და დეტალურად იმსჯელა იმ ჩაჩოების გაფართოებაზე, რომელიც საჭიროა სამართლის უზენაესობისთვის.

გარდა ამისა, სტუდენტები აქტიურად ჩაერთნენ კითხვების დასმის ნაწილში და მიიღეს დამატებითი ინფორმაცია საკონსტიტუციო სასამართლოს დატვირთვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესების შესახებ.

ვებინარი მშობლების გაუცხოების და ბავშვთა დახმარების საკითხებზე

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით ამერიკელმა მოსამართლემ, **პეგი ვოქერმა** ჩაატარა ვებინარი ქართველი მოსამართლეებისა და სსიპ „სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს“ წარმომადგენლებისთვის. შეხვედრის თემას წარმოადგენდა ბავშვის ალიმენტთან და მშობლის გაუცხოების სინდრომთან დაკავშირებული საკითხები.

სააგენტოს 6 წარმომადგენელი და 12 მოსამართლე თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, ბათუმისა და სამტრედიის რაიონული სასამართლოებიდან ესწრებოდნენ შეხვედრას. მონაწილეებისთვის განსაკუთ-

რებით საინტერესო აღმოჩნდა მშობლის გაუცხოებასთან დაკავშირებული განხილვა. მათ არაერთი კითხვა დასვეს ამ საკითხზე არსებულ საგანმანათლებლო რესურსებთან, გაუცხოებულ მშობელთან ხელახლა დაახლოების პროგრამებთან და მედიაციის გამოსადეგობასთან დაკავშირებით მშობელსა და ბავშვს შორის გაუცხოების აღმოსაფხვრელად. მსჯელობა გაიმართა აგრეთვე ბავშვის ასაკთან დაკავშირებით, როდესაც შესაძლებელია მისი ჩართვა ამგვარ პროგრამებში და იმ სტრატეგიებთან დაკავშირებით, რაც შეიძლება გამოიყენოს მოსამართლემ იმ მშობლების მიმართ, ვინც უარს ამბობს თანამშრომლობაზე.

მოსამართლე ვოქერმა ორი ვრცელი პრეზენტაცია მოამზადა მონაწილეებისთვის, სადაც დასახელებულია ხელმისაწვდომი რესურსები, განსაკუთრებით გაუცხოების თემაზე. პრეზენტაციები ითარგმნა ქართულ ენაზე და გაეგზავნათ შეხვედრის მონაწილეებს, ისევე როგორც მოსამართლეთა პრაქტიკის ჯგუფების სხვა წევრებს.

მოსამართლეებისა და იურიდიული სფეროს სხვა წარმომადგენლების შეხვედრა სასამართლო საქმის მენეჯმენტის შესახებ

თბილისში გამართულ სასამართლო საქმეთა მენეჯმენტის სემინარში 40 მოსამართლემ, ადვოკატმა, იურიდიული პროფესიის სხვა წარმომადგენლებმა და საერთაშორისო ექსპერტებმა მიიღეს მონაწილეობა.

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მიერ საქართველოში აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის საერთაშორისო ბიუროსთან (INL) ერთად ორგანიზებული სემინარი იყო პლატფორმა სასამართლო საქმის მენეჯმენტის მიდგომებისა და გამოწვევების განსახილველად.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის (GBA) წარმომადგენელმა, **სოფო სოხაძემ** პირველი სესია საქართველოში საქმისწარმოების სიღრმისეული მიმოხილვით გახსნა. მან წარმოადგინა რეკომენდაციები ანგარიშიდან სასამართლოში საქმეების ნაკადის მართვასთან დაკავშირებით, რომელიც მომზადებულია GBA-ს ექსპერტების მიერ USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით.

დოქტორმა თიმ ბუნიევაცმა, USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის საზოგადოებრივი ჩართულობის მრჩეველმა, წარმოადგინა სამოქალაქო საქმეთა მენეჯმენტისა და საქმეების ნაკადის მართვის მიმოხილვა საერთაშორისო პერსპექტივიდან. მისი პრეზენტაცია მოიცავდა მაგალითებს სხვადასხვა იურისდიქციებიდან, რომლებიც ასახავდა სტრატეგიებს სამოქალაქო საქმეების მართვისა და სასამართლოს ეფექტიან ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად. შეხვედრა დასრულდა აქტიური დისკუსიით, რომელშიც მონაწილეებმა გაცვალეს იდეები, თუ როგორ უნდა მოხდეს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის ინტეგრირება ქართულ სასამართლოებში.

პროგრამის მიერ მოწვეულმა მოსამართლემ **თიმოთი ბალანდმა** მონაწილეებს გაუზიარა თავისი მოსაზრებები საქართველოს სასამართლოებში სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეების მართვასთან დაკავშირებით. მან პრაქტიკული რჩევები მისცა მონაწილეებს საქმის მენეჯმენტის გასაუმჯობესებლად და შეფერხებების შესამცირებლად, აშშ-ს გამოცდილებაზე დაყრდნობით.

შუადღის სესიაზე ყურადღება გამახვილდა ნაფიც მსაჯულთა მენეჯმენტზე სისხლის სამართლის პროცესებში, რომელიც შედარებით ახალი ინსტიტუტია ქართულ სასამართლოებში. თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე **ელენე გოგუაძემ** წარმოადგინა საქართველოში ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პროცესების მენეჯმენტის პრაქტიკული მაგალითები და შეადარა ისინი საერთაშორისო გამცდილებას.

მოსამართლე **ქერი მეიერი,** მინეაპოლისის მეოთხე სასამართლო ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე, მინესოტადან (აშშ) უძღვებოდა სესიას ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პროცესების მენეჯმენტის მოწინავე პრაქტიკაზე. სესია მოიცავდა მსჯელობას

იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება ეს პრაქტიკა მორგებული იყოს საქართველოს სამართლებრივ სისტემაზე და უზრუნველყოს მყარი გეგმა მომავალი გაუმჯობესებისთვის.

სემინარი დასრულდა სესიების ძირითადი მიღწევების შეჯამებით და ხაზი გაესვა ქართველ და საერთაშორისო სამართლებრივ ექსპერტებს შორის უწყვეტი თანამშრომლობისა და ცოდნის გაცვლის მნიშვნელობას.

სასამართლო პრაქტიკის ჯგუფი განიხილავს დისკრიმინაციული სიტყვისა და შეურაცხმყოფელი განცხადებების შედეგებს სოციალურ მედიაში

გამოხატვის თავისუფლების პრაქტიკის ჯგუფი შეხვდა სოციალურ მედიაში დისკრიმინაციული გამოხატვსა და შეურაცხმყოფელი გამონათქვამების პრობლემაზე სამსჯელოდ. ჯგუფის წევრი მოსამართლეები და მათი თანაშემწეები შეხვედნენ პროფესორ **ჯეისონ დესანტოს** ნორთვესტერნის უნივერსიტეტიდან (ილინოსი, აშშ) რომელმაც მიმოიხილა ამერიკის კონსტიტუციის პირველი შესწორების სამოსამართლო პრაქტიკა ონლაინ გავრცელებული დეფამაციის, შეურაცხყოფისა და მუქარის საკითხებზე.

მოსამართლე დესანტომ განმარტა ინტერნეტის რეგულაციასთან დაკავშირებული მიდგომები და იმსჯელა, რა ტიპის შინაარსზე დაფუძნებული შეზღუდვები შეიძლება დაწესდეს ინტერნეტ პლატ-

ფორმების მიმართ. ასევე შეადარა ინტერნეტში გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებული სტანდარტები ინფორმაციის გავრცელების უფრო ტრადიციულ მედიუმებს, როგორიცაა ბეჭდვითი მედია, ტელემაუწყებლობა და კომუნიკაციები.

პრაქტიკის ჯგუფის წევრებისთვის განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა ის საკითხი, ინტერნეტ პლატფორმები, როგორიცაა Facebook და Twitter თუ შეიძლება ჩაითვალონ საჯარო სივრცედ. ამას მოყვა მსჯელობა იმ სტანდარტებისა და ტესტების შესახებ, რომლითაც განისაზღვრება თუ რა არის საჯარო სივრცე და მაგალითად, საჯარო პირების პირადი პროფილები თუ შეიძლება ჩაითვალოს ამგვარად ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს ბოლოდროინდელი გადაწყვეტილების „ლინდკე ფრიდის წინააღმდეგ“ (#22-611) გათვალისწინებით.

პრაქტიკის ჯგუფის წევრმა მოსამართლეებმა მიმოიხილეს საქართველოს სასამართლოს გადაწყვეტილებები მსგავს საკითხებზე, რამაც აჩვენა რომ ქართველი მოსამართლეები უკვე დგანან ტექნოლოგიური პროგრესით განპირობებულ ახალ რეალობის პირისპირ და უმკლავდებიან სოციალური მედიის განსაკუთრებულ გავლენას ყოველდღიურ ცხოვრებაზე.

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამაში მართლმსაჯულების საკითხებზე მუშაობენ:

გიორგი ჩხეიძე	პროგრამის ხელმძღვანელი
ჰერბ ბოუმენი	პროგრამის ხელმძღვანელის მოადგილე
ეკა ლომთათიძე	მართლმსაჯულების რეფორმის მრჩეველი
ეკა ონიანი	მართლმსაჯულების რეფორმის სპეციალისტი
თიმ ბუნიევაცი	საზოგადოებაზე ორიენტირებული მართლმსაჯულების მრჩეველი
მარიამ გობრონიძე	საზოგადოებაზე ორიენტირებული მართლმსაჯულების კოორდინატორი
მამუკა მამაცაშვილი	მოსამართლეთა გაცვლითი პროგრამის კოორდინატორი
ნინო ბალანჩივაძე	იურიდიული განათლების და ადვოკატთა რეფორმის მრჩეველი
მარიამ ვარდოსანიძე	იურიდიული განათლებისა და ადვოკატთა რეფორმის სპეციალისტი
ირინა ხახუტაიშვილი	რეგიონული ჰაბის იურისტი, ბათუმი
ანა შალამბერიძე	რეგიონული ჰაბის იურისტი, ქუთაისი
გიორგი ხმალაძე	რეგიონული ჰაბის იურისტი, ახალციხე
მერი მახარაშვილი	კომუნიკაციების მრჩეველი
ანა გორდულაძე	იურიდიული განათლებისა და მოსამართლეთა გაცვლითი პროგრამის კოორდინატორი

საკონტაქტო ინფორმაცია:

5 მარჯანიშვილის ქ., 0102
თბილისი, საქართველო

ტელ: (+995 32) 250 54 04

ელ-ფოსტა: info.rolp@ewmi.org

ვებ-გვერდი: ewmi-ruleoflawgeo.org

ჩვენი სოციალური გვერდები: